

ფერის აღმნიშვნელი სიტყვების აღქმისა და სტრუქტურირების ასპექტები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოსიაშვილი ნათელა

სარაჯიშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.34>

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია ფერის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირებითი კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში, ამ ენებში ფერის ტერმინთა სისტემის ანალიზი და ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელების გამოვლენა უნივერსალურ მოდელთან მიმართების დასადგენად.

საკვლევ ენებში სხვადასვა შინაარსის მქონე ჯგუფების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ჯგუფის სტრუქტურულ თავისებურებასა და ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის შინაარსის თავისებურებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის სემური ანალიზის შედეგად დადგინდა:

1. ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ელემენტებს შორის სემანტიკური მიმართების მხოლოდ ერთი ტიპის არსებობის ფაქტი;
2. ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორის სინონიმური მიმართების არსებობის ფაქტი;
3. საკვლევ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სტრუქტურის იდენტურობა. თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული უნივერსალიები და უნიკალიები:
1. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის შედარებითი სეგმენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურ ენაში ქართულ ენასთან შედარებით მეტია იმ სიტყვათა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ რომელიმე კონკრეტულ ფერს, ან მის რომელიმე ნიუანსს ამავე ფერის საგანთან შედარების გზით;
2. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის აბსტრაქტული ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სეგმენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ იმ სიტყვების რაოდენობა, რომლებიც არ ამჟღავნებენ კავშირს რომელიმე კონკრეტულ საგანთან, დაახლოებით ერთი და იგივეა.

საკვანძო სიტყვები: sityva-identifikatori; უნივერსალიები; ჯგუფები; შეპირისპირებითი; ანალიზი.

ლექსიკური მიკროანალიზი თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ კვლევის აღნიშნული მიმართულების კონტექსტში მოიაზრება. ნებისმიერი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და სტრუქტურირების თავისებურ გზას. ენაში არსებული მნიშვნელობები ქმნიან თვალსაზრისთა ერთიან სისტემას, სხვა სიტყვებით, „კოლექტიურ ფილოსოფიას“, რომელიც ცვლადია დროსა და სივრცეში.

წარმოდგენილი ნაშრომის ფორმატში ლექსიკურ ერთეულებს შორის

არსებული სემანტიკური მიმართებები უნდა გაანალიზდეს ეფექტური კომუნიკაციისათვის რელევანტური ისეთი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც კომუნიკაციის აქტში მონაწილეთა ენობრივ-კულტურული კომპეტენცია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ფერის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირებითი კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში, ამ ენებში ფერის ტერმინთა სისტემის ანალიზი და ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელების გამოვლენა უნივერსალურ მოდელთან მიმართების დასადგენათ.

პირველი კითხვა რომელსაც ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი არის ის, თუ როგორ აისახება ფერი ენაში, როგორ აისახება ენაში ერთი ფერის გადასვლა მეორეში. მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკური სტრუქტურის სისტემური აღწერა და მათ შორის მიმართებათა დადგენა. ჩვენი საკვლევი მასალის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას რომ „ფერის“ აღმნიშვნელი სიტყვების სტრუქტურირება ფრიად რთული საკითხია იმდენად, რამდენადაც მას აქვს სხვადასხვა სემანტიკური ბუნება. ერთის მხრივ, „ფერს“ გააჩნია საგნობრივი შინაარსი, რაც მის სპექტრთა მრავალსახეობის საგნობრივი ფიზიკური აღქმის უნარით გამოიხატება. თუ განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს, როგორც საგნობრივ აღმნიშვნელად, შეიძლება ჩავთვალოთ რომ ფერი ობიექტურია იმდენად, რამდენადაც ადამიანთა უმრავლესობის მიერ ერთნაირად არის აღქმული, იმიტომ რომ ჩემთვის, როგორც ინდივიდისთვის, ანუ ენაში აღწერილი სამყაროს სურათის აღმწერისათვის საინტერესო არის არა ობიექტური ანუ რეალურ-მატერიალური, ნამდვილი და არანამდვილი, არამედ აღქმის ობიექტურობა, რაც ნიშნავს მეტ-ნაკლებ ერთიანობას.

ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ ინგლისურ ენასა და ქართულ ენაში ფერის ტერმინთა სისტემების ანალიზი, გამოვავლინოთ ამ ენებში ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელები უნივერსალურ მოდელთან და ერთმანეთთან მიმართების დასადგენად.

საკვლევ ენებში სხვადასვა შინაარსის მქონე ჯგუფების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ჯგუფის სტრუქტურულ თავისებურებასა და ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის შინაარსის თავისებურებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

„ფერის“ შინაარსი განეკუთვნება ობიექტური კრებადი შინაარსების კატეგორიას, თუმცა „ფერის“ ჯგუფში შემავალ ელემენტთა ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ნებისმიერი კონკრეტული ფერი ამჟღავნებს მსგავსებას როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ არაკრებად შინაარსებთან. ეს მსგავსება ინტენსიურობის, გრადაციის ფაქტორს გულისხმობს. მართალია, არ არსებობს „მეტ-ნაკლებად ფერი“, მაგრამ არსებობს „მეტ-ნაკლებად წითელი“. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს „ფერის“ ველის სტრუქტურულ თავისებურებას, სხვა სიტყვებით, განსაკუთრებულობასა და უნიკალურობას, რაშიც იგულისხმება მისი „შერეული“ - ლინეალურ-გრადუალური სტრუქტურა.

სტრუქტურის გრადუალურობას განაპირობებს ველში შემავალ კონკრეტულ ელემენტთა შორის არსებული მიმართება - გრადაცია:

„წითელი“ (ზონა)



მეწამული, შინდისფერი, ბორდოსფერი, ბროწეულისფერი, ალისფერი,
მოწითალო, ვარდისფერი, მოვარდისფრო.....

„მწვანე“ (ზონა)



ბალახისფერი, ისრიმისფერი, სალათისფერი, მომწვანო...

სტრუქტურის ლინეარულობას კი განაპირობებს ველში შემავალ ყველა
ელემენტსა და ველის სიტყვა-იდენტიფიკატორს შორის არსებული სემანტიკური
მანძილის, სხვა სიტყვებით, სემანტიკურ მიმართებათა ერთგვაროვნების ფაქტი.

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი ინგლისურ

ენაში (Colour)

(ობიექტური, „კრებადი“ შინაარსი)

(ზედსართავი სახელები)

„სუფთა ფერის ზონა“



colourless, white, snowy, black, grey, silver, blue, green, grassy, beige,
fawn, yellow, lemon, orange, golden, bronze, brown, rosy, pink, red,
crimson, purple, cherry, claret, ruby, scarlet, carmine, lilac, violet....

“განუსაზღვრელი ერთფეროვნების ზონა“



coloured, one-coloured, monochrome, plain...

“განუსაზღვრელი მრავალფეროვნების ზონა“



multi-coloured, parti-coloured, variegated, motley,
spotty, stripy....

“ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი

ქართულ ენაში

(ობიექტური, “კრებადი“ შინაარსი)

(ზედსართავი სახელები)

“სუფთა ფერის ზონა“



უფერული, თეთრი, შავი, რუხი, ნაცრისფერი,
ვერცხლისფერი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე,
ჩალისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი,
ნარინჯისფერი, ვარდისფერი, წითელი, ალისფერი,
ღალისფერი, მეწამული, შინდისფერი, იისფერი,
იასამნისფერი...

“განუსაზღვრელი ერთფეროვნების ზონა“



სადა, უსახო, ფერადი..

“განუსაზღვრელი მრავალფეროვნების ზონა”



ჭრელი, ხატული, ზოლებიანი, კოპლებიანი..

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის სემური ანალიზის შედეგად დადგინდა:

4. ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ელემენტებს შორის სემანტიკური მიმართების მხოლოდ ერთი ტიპის არსებობის ფაქტი;
5. ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორის სინონიმური მიმართების არსებობის ფაქტი;
6. საკვლევ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სტრუქტურის იდენტურობა.

აგებული ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ სემანტიკურ მიმართებათა ერთგვაროვნებას, რაც ჯგუფის აგებულების ლინგვალოგიაში ვლინდება, უზრუნველყოფს სიტყვა-იდენტიფიკატორის სტატიკურობა.

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის სტატიკურობა მისივე შინაარსის არაგრადუალობის ენობრივ გამოხატულებას წარმოადგენს: არ არსებობს “მეტ-ნაკლებად ფერი”, ისევე როგორც არ არსებობს “მეტ-ნაკლებად ადამიანი” ან “მეტ-ნაკლებად სიკვდილი”.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ ელემენტთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ „ფერის“ შინაარსის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა მეტია ინგლისურ ენაში ქართულ ენასთან შედარებით: ინგლისურში 194 ერთეული, ქართულში - 89.

საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის ანალიზი განხორციელდა შემდეგი თვალსაზრისების გათვალისწინებით:

1. შედარებითი - ამ ჯგუფის სიტყვები რომელიმე მოვლენას, ფერს, ან მის რომელიმე ნიუანსს ამავე ფერის საგანს უდარებს;
2. აბსტრაქტული ფერის სიტყვები - ეს სიტყვები არ ამჟღავნებენ კავშირს რომელიმე კონკრეტულ საგანთან.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული უნივერსალიები და უნიკალიები:

3. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის შედარებითი სემენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურ ენაში ქართულ ენასთან შედარებით მეტია იმ სიტყვათა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ რომელიმე კონკრეტულ ფერს, ან მის რომელიმე ნიუანსს ამავე ფერის საგანთან შედარების გზით;
4. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის აბსტრაქტული ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სემენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ იმ სიტყვების რაოდენობა, რომლებიც არ ამჟღავნებენ კავშირს რომელიმე კონკრეტულ საგანთან, დაახლოებით ერთი და იგივეა.

მიუხედავად იმისა, რომ „ფერი“, როგორც თვისება უნივერსალურია, „ფერის“ აღმნიშვნელი ჯგუფების „ლექსიკური რეპერტუარი“ განსხვავდება სხვადასხვა ენაში და შინაგანად უკავშირდება კულტურას. მარტინ ჰაიდეგერის გამონათქვამი „ყოფიერების სახლი არის ენა“ ჭეშმარიტებაა. ენას ერის

კულტურისაკენ მივყევართ. ენის „სულის“ განსაზღვრა მისი სხვა ენასთან ან ენებთან შეპირისპირებითი კვლევისას ხდება. ეს პროცესი საკვლევ ენებში მსგავსი და განსხვავებული უნივერსალიებისა და უნიკალიების ძიებას გულისხმობს.

Aspects of Perception and Structuring of Colour Words in English and Georgian Languages

Mosiashvili Natela

Sarajishvili Nino

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

This study aims at a comparative exploration of the semantic structure and perception of the words denoting basic colours in two different languages, namely Georgian and English, analyzing the systems denoting colours and revealing the models of categorization of words denoting the concept of colours in order to state its relation with universal model.

We have studied “colour” words in both Georgian and English Languages considering the following methods:

- a. comparative – the words in this group compare the colour or its hue to some object of the same colour;
- b. the words denoting abstract colours – these words do not reveal links with any definite object.

The study of the words constituting the colour field revealed the following:

1. analysis of the data showed that there are more colour words denoting definite colour by comparing them to the object of the same colour, in the English language more than in the Georgian language;
2. analysis of the data revealed that the number of the words denoting abstract colours is presumably the same in the both languages.

As a result of analysis of different types of relationships, a new way of structuring the lexical groups of colour were discovered implying the existence of two segments (lineal and gradual) in lexical groups of colour.

Key words: word-identifier; universals; groups; contrastive; analysis.